საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 38 სექტემბერი 17 1900 № 38

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“.

შინაარსი: ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ფ. მახარაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—,,კვალი''-ს კორესპონდენციები.—პოლიტიკური მიმოხილვა.—შავი-ქვის მწარმოებელთა კრების გამო ს. ფირცხალავასი.—ხელოვნება და მისი მიზანი (შემდეგი) ი. გომართლისა.—ვინ გაიმარჯვებს? (მოთხრობა) თარგმანი დ—ისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—„კვალის“ ფოსტა და განცხადებები.

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა

(1896—1900)

V

იმ უნაყოფო და უნიადაგო შუამდგომლობათა შორის, რომლებიც ოზურგეთის ქალაქის გამგეობამ აღძრა 1896—1900 წლებში, პირველი ალაგი უეჭველათ ოზურგეთის რკინის გზის გაკეთების საქმეს უნდა დაეთმოს. რადგანაც რკინის გზა მეტათ საინტერესო და ყურადღების ღირსია საზოგადოების მხრით, ამიტომ საჭიროა განვიხილოთ იგი ცოტა უფრო დაწვრილებით.

ოზურგეთის რკინის გზის ამბავი იწყება ამნაირათ: 1897 წელს სექტემბრის 27, ბ-ნმა თავდგირიძემ ქალაქის საბჭოს წინადადება მისცა იმის შესახებ, რომ ოზურგეთსა და სადგურ ნატანებს შუა რკინის გზა იქნას გაყვანილიო. საბჭოს სხვა რაღა შეეძლო გაეკეთებია გარდა იმისა, რომ ბ-ნ თავდგირიძისთვისვე მიენდო ამ საქმის თაობაზე „დასაბუთებული“ შუამდგომლობის შედგენა მთავრობასთან წარსადგენათ. ბ-ნმა თავდგირიძემაც, რასაკვირველია, დაწერა რამდენიმე მოხსენება ამ საგნის შესახებ და მთავრობას წარუდგინა. პირველ მის „დასაბუთებულ“ მოხსენებას აზის 1898 წლის 23 თებერვალის თარიღი. იგი იწყება ჩვეულებრივი მოთქმა-გოდებით ქალ. ოზურგეთის სიღარიბეზე, რის გამო ამ უკანასკნელს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ის ათასგვარი საჭიროებანი, რომელნიც მას აწევსო. შემდეგ ბ-ნი თავდგირიძე ლაპარაკობს ოზურგეთელების სიყოჩაღეზე და იმაზე, რომ ამათ განათლებული ცხოვრება უყვართ. აი, ახლაც ჩვენს ოზურგეთს მრავალი სასარგებლო საქმის გაკეთება სწადიაო, მაგრამ შეუძლებლობის გამო ყოველივე ეს განუხორციელებელი რჩებაო. ამიტომ „სახელმწიფო მიზანი“ მოითხოვს, რომ ოზურგეთს დახმარება აღმოუჩინონ „ვიწრო ლიანდაგიანი რკინის

გზის გაკეთებაში მაინც სად. ნატანებიდანო. შესაძლებელია ვიფიქროთ, განაგრძობს ბ-ნი თავდგირიძე სერიოზული კილოთი—რომ მთავრობა თითონ იკისრებს ამ გზის გაკეთებას და სარგებლობას; მაგრამ მისთვის ბევრათ უფრო სასარგებლო იქნება, თუ ყოველივე ეს დაეთმობა თვით ღარიბ ოზურგეთსაც. თითოეულ ქალაქს და მაშასადამე ღარიბ ოზურგეთსაც, აწევს მრავალი სავალდებულო გადასახადი, რომლის დაუბრკოლებელი შესრულება სახელმწიფოსაგან მოითხოვს ნივთიერ დახმარებას, განსაკუთრებით უნდა შეეწიონ და დაეხმარონ იმ ქალაქებს, რომლებიც მუდამ გაჭირვებაში იმყოფებიან ამ სავალდებულო ხარჯების გამო; ამ მხრით ყველაზე უფრო შესანიშნავი (ე. ი. თავისი სიღატაკით და გაჭირვებული მდგომარეობით!) და მთავრობის განსაკუთრებითი ყურადღების ღირსი ქალაქი ოზურგეთია... ასეთ კრიტიკულ პირობებში მთავრობა ყოველთვის უნდა მიეშველოს საზოგადო დაწესებულებათ (კარგი დარიგება ცოდნია ერთობ ბ-ნ თავდგირიძეს!). სუბსიდია და შემწეობა მისავალი გზის (подъѣзднаго пути) გასაკეთებლათ და ამ გზის სარგებლობის უფლების მინიჭება ოზურგეთისთვის იქნება მეტათ სასარგებლო და წინდახედული მოქმედება მთავრობის მხრით, და ამ საქმის გაკეთება კი სულ ადვილია მთავრობისთვის: მან მისცეს ოზურგეთს დიდ ვადიანი სესხი ოცდა-ათ ათას თუმნამდე (300,000 მან.), ან და ნება მიეცეს ოზურგეთის მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილი ობლიგაციების გამოცემისაო". აი, ასეთია ბ-ნ თავდგირიძის პირველი „დასაბუთებული" (мотивированный) მოხსენება. აბა რაღა თქმა უნდა, რომ ასეთ საბუთს წინ ველარა დაუდგებოდა-რა.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ბ-მა თავდგირიძემ შეცვალა ტაქტიკა. მეორე მოხსენებაში, რომელიც გუბერნატორს წარედგინა 1898 წელს 23 ოქტომბერს, იგი სხვათა შორის ამბობს: „ოზურგეთის ქალაქის საბჭომ, 9 ოქტომბრის სხდომაზე, უარი განაცხადა რა იმ შემწეობაზე, რომელიც ნათხოვარი იყო მის წინანდელ მოხსენებაში, ერთხმათ დაადგინა, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქ ოზურგეთს ნება მიეცეს უბრალო კონცესიის აღებისა ოზურგეთ—შეკვეთილის ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაკეთებისა იმ პირობით, რომ ქალაქს უფლება ჰქონდეს მოსაგებ პირობებით გადასცეს ამ გზის გაკეთება ან კერძო პირს და ან რომელსამე კომპანიას; ამასთანავე მიღებულ იქმნას მხედველობაში ის პირობები, რომლებსაც წინდაწინ იძლევა ადგილობრივი მკმამულე თ-დი ნიკოლოზ ყარამანისძე თავდგირიძეო". ამას შემდეგ ეწყება ჯერაც დაუსრულებული გზავნა თხოვნებისა და მოხსენებებისა სხვა-და-სხვა კანცელარიებში ცალკე თვით-მართველობის მხრით და ცალკე თვით ბ-ნ თავდგირიძის მხრით იმის შესახებ, რომ თუ ვინიცობაა ქალაქ ოზურგეთს უარი ეთქმება რკინის გზის გაკეთების კონცესიაზე, იმ შემთხვევაში ეს კონცესია მიეცეს თ-დ ნიკ. ყარ. თავდგირიძეს, რომელიც ქალაქისთვის სასარგებლო პირობებს დებსო. ჩვენ აქ არ შევდივართ იმის დაფასებაში, თუ რამდენათ სასარგებლო იქნებოდა ქალაქისთვის ბ-ნ თავდგირიძის პირობები, ვინიცობაა ეს შუამდგომლობა მართლა დაეკმაყოფილებია მთავრობას, რადგანაც ეს ბ-ნ თავდგირიძის პიროვნულ თვისებებს უფრო შეეხება, ვინემ თვით საქმის ვითარებას. აქ შევნიშნავთ მხოლოთ, რომ, სამწუხაროთ, არც ერთი ამ მოხსენებათაგანი თუ შუამდგომლობათაგანი არავითარ დასაბუთებულ და სერიოზულ მსჯელობას არ შეიცავს, ისინი გატენილია მხოლოთ ყოვლად უშინაარსო ფრაზებით, რომლებიც იმავე დროს ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, რის მაგალითები ჩვენ არა ერთხელ გვქონდა მოყვანილი. გარდა ამისა, ყველა ამ მოხსენებათა და შუამდგომლობათა კილო ისეთია, რომ ასე გგონიათ, რკინის გზა რაღაც საქველ-მოქმედო საქმე უნდა იყოს და ოზურგეთს იგი რაღაც მოწყალებასავით უნდა მოევლინოს. გულუბრყვილობით და უცოდინრობით უნდა ავხსნათ ასეთი ახირებული წარმოდგენა, თუ სხვა რამით, ეს თითონ მკითხველმა განსაჯოს. ჩვენ აქ მკითხველს გავახსენებთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ზოგიერთების და განსაკუთრებით ოზურგეთლების თვალში დიდ ღვაწლათ უნდა ჩაეთვალოს ბ-ნ თავდგირიძეს.

მოგეხსენებათ, რომ პროვინციის ქალაქების მოურავები და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი ხშირათ მოდიან ხოლმე პეტერბურგში, რათა სხვა-და-სხვა თხოვნებზე ყურადღება მიაქცევიონ უმაღლეს მთავრობას. ამ ჩინებულ მაგალითს მიბაძა ოზურგეთის ქალაქის წარმომადგენელმა, ბ-მა თავდგირიძემაც. 1898 წელს ქალაქის საქმეების გამო ისიც გაემგზავრა პეტერბურგს. ამ მოგზაურობის ნაყოფი მხოლოთ იმაში გამოიხატება, რომ, როცა ივი ოზურგეთში დაბრუნდა, ქალაქის საბჭოს დიდი ამბით აუწყა შემდეგი: „ყველა უსაჭიროეს შუამდგომლობათა გამო, პროგიმნაზიის, თუ რკინის გზის გაყვანის, თუ ოზურგეთში ხაზინის გახსნის შესახებო მე მომიხდა პირადათ მომეხსენებია სხვა-და-სხვა სამინისტროებში დასაბუთებული მოსაზრებანი (ალბათ ისეთები, როგორიც ზევით მოვიყვანეთ?) და დამემტკიცებია იმათი და-

კმაყოფილების აუცილებელი საჭიროება. უმაღლესი მთავრობა ყურადღებით და თანაგრძნობით მიეგება ყველა ამ კითხვებსო.“

ასეთ მაგარ სიტყვებს ძალაუნებურათ უნდა მოეხიბლა ოზურგეთლები, და კიდევაც მოხიბლეს. ამას შემდეგ ვინღა გაახსენებდა ბ-ნ თავდგირიძეს, რომ ეს სიტყვები ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული იყვენ. მაგრამ სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ სულ უნაყოფოთ არ ჩაუვლია ბ-ნ თავდგირიძისათვის პეტერბურგში ყოფნა. იქ მან შეიტყო, რომ სანამ რკინის გზის გაყვანის ნებართვას ითხოვდა, საჭირო იყო თავდაპირველათ გამოკვლევა (Изысканіе), დაწვრილებითი ტეხნიკური გეგმის შედგენა და დაახლოებითი ხარჯთ-აღრიცხვის ჩვენება; ამასთანავე ხაზინას არ უნდა ეთხოვოს ნივთიერი შემწეობა, არამედ კონცესიაო (იხ. 1898 წლის 19 ოქტომბრის სხდომის ოქმი). აი რა შეუტყვია ბ-ნ თავდგირიძეს პეტერბურგში! განა ამის გასაგებათ ამ სიშორეზე წასვლა იყო საჭირო? რკინის გზის საქმე დღეს ჩვენში ახალი და უცნობი რამ ხომ აღარ არის, რომ ყოველივე ამის დაწვრილებით გაგება ჩვენში არ შეიძლებოდეს. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, ბ-ნ თავდგირიძეს სხვა მხრითაც შეეძლო ადგილობრივ გაეგო ის, რაც მან მხოლოთ პეტერბურგში შეიტყო. საქმე იმაშია, რომ გუბერნატორმა პირველი მოხსენების პასუხათ აი რა მისწერა ოზურგეთის ქალაქის საბჭოს (20 აპრილიდან 1898 წელს, ე. ი. სანამ ბ-ნი თავდგირიძე პეტერბურგში გაემგზავრებოდა): „თქვენ მოხსენებაში—ნათქვამია გუბერნატორის მოწერილობაში—არ არის არც იმის ანგარიში, თუ რაზე ამყარებთ 300,000 მანეთის ხარჯს, არც ადგილის—მდებარეობის ტეხნიკური ხელანი და დაახლოებით მაინც არის შესავალ-გასავლის ანგარიში. ამასთანავე არც ობლიგაციების გამოცემის პირობებია აღნიშნული. ვინიცობაა ეს საკითხიც იქნას დაყენებულიო“. მაშასადამე, აშკარაა, რომ ის, რაც ბ-ნმა თავდგირიძემ პეტერბურგში შეიტყო, ვალდებული იყო გაეგო მას ოზურგეთშივე. საზოგადოთ ოზურგეთის რკინის გზის გაყვანის საქმე ისე არეულ-დარეულია, რომ იქიდან რაიმე გარკვეული აზრის გამოტანა ყოვლად შეუძლებელია. ეს გამოურკვეველობა, სხვათა შორის, იქიდანაც წარმოდგება, რომ ბ-ნი თავდგირიძე საქმეს იწყებს თავიდან კი არა არამედ ბოლოდან, და როცა მას ჰგონია, რომ იგი გათავებული არისო, დარწმუნებული იყავით, რომ დაწყებულიც არ არის. ასე მოქმედებდა ოზურგეთის ქალაქის საბჭო არა მარტო რკინის გზის საქმეში. ასევე მოიქცა იგი ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შენობის გაკეთების საქმეშიაც.

1897 წელს, 9 ივლისის სხდომაზე, ქალაქის საბჭომ „ქალაქის მამასახლისის წინადადებით გადადვა თანხა (რამდენი არ არის ნაჩვენები), რომელიც იმყოფებოდა ქალაქის განკარგულებაში (უეჭველათ ეს კერძო შემოწირულობა უნდა ყოფილიყოს, თუმც არც ამის შესახებ არის რამე ნათქვამი), საჯარო გასართობის (для публичныхъ развлеченій) და ქალაქის ბიბლიოტეკისთვის შენობის ასაგებათ. ეს საქმეც ჩვეულებრივათ საბჭომ მიანდო ქალაქის მამასახლისს. იმავე წლის 15 სექტემბრის სხდომაზე საბჭომ განაჩენი დაადგინა, რომლითაც ამ შენობას ადგილი დაეთმო ქალაქის ბაღში. ამას შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი და 1898 წლის 26 ოქტომბრის ოქმიდან ვტყობილობთ, რომ ამ საქმის მოჯარადრე დაუთხოვიათ და ამასთანავე გადაუწყვეტიათ იშოვნონ მცირე თანხა (незначительную сумму) ამ შენობის გასაკეთებლათო“. ამით დაბოლოვდა ეს საქმე. ამას შემდეგ ქალაქის საქმეებში მის შესახებ არავითარი ცნობები არ არის. მხოლოთ ქალაქის ბაღში თუ შეხვალთ ერთ ადგილას თქვენ შეამჩნევთ უპატრონოთ მიტოვებულ დამპალ საძირკველს, რომელიც მოწმობს, რომ ერთ დროს აქ რაღაც შენობის გაკეთება ნდომებიათ. თუ ამ ადგილას ვინმე ოზურგეთელი შეგხვდათ და დაეკითხეთ ამის შესახებ, ის გიპასუხებთ, რომ აქ ქალაქის თვითმართველობას თეატრის შენობის გაკეთება სურდაო. თქვენ მაშინ მოგაგონდებათ, რომ უეჭველათ ეს იმ შენობის საძირკველი უნდა იყოს, რომლისათვის ერთ დროს დიდი ქება უძღვნეს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობას. როცა ამ წამხდარ საქმეს უყურებთ, ძალაუნებურათ ეკითხებით თქვენ თავს: ნეტა ვინ აიძულა ქალაქის თვითმართველობა ეს შენობა დაეწყო და ან თუ დაიწყო, ასე უპატრონოთ რიღასთვის გაუშვაო? მეტყვიან, რომ საშუალება არ ჰქონდათ და აბა რას იზამდენო! კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ამაზე მიპასუხეთ: იმოდენა საშუალება თუ არ ჰქონდათ, რომ საძირკველის ჩაყრასაც არ ეყოფოდა მთელი იმათი შეძლება, რა იმედით ან რა საფუძველით დაიწყეს იგი? მაგრამ ტყუილა უბრალოთ რაზე ვიწუხებთ თავს, საქმე იმაშია, რომ ყველაფერი ბ-ნ თავდგირიძეს მიაპირეს, და მას კი ასეთ პატარა საქმისთვის არა სცალოდა: იგი დიდ საქმეებში ხედავდა თავის მოწოდებას და პატარა რამეებისთვის თავს როდი იწუხებდა. მეორე მხრით დიდი

საქმეების გაკეთებისთვის არც ნივთიერი შეძლება იყო და არც სამისო მომზადება. ამნაირათ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობაში ერთმანეთს ებრძოდენ ერთი მხრით ბ.ნ თავდგირიძის დიდი სურვილები და მეორე მხრით მისი მოუმზადებლობა და ქალაქის ნივთიერი შეუძლებლობა. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ დიდი სურვილები ხომ მხოლოთ სურვილებათ დარჩენ, მაგრამ, სამწუხაროთ, პატარა საქმეებიც კი, ქალაქისთვის არა ნაკლებ სასარგებლონი, სრულიად დავიწყებული იქნენ. ასე რომ მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში, ოზურგეთში ისეთი არა გაკეთებულარა რა, რაც ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის ღვაწლს შეადგენდეს.

ჩვენ ვათავებთ ოზურგეთის შესახებ ბაასს, თუმც, უნდა გამოვტყდეთ, კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი ამ საგანზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით რაც ვთქვით, ისიც კმარა. დასასრულ, დავასახელებთ აქ სამ უმთავრეს მიზეზს, რომლებმაც ასე უნაყოფო გახადეს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მოქმედება სრული ოთხი წლის განმავლობაში და რომლებიც ჩვენ ამ წერილში ვცდილობდით გამოგვერკვია: I, საბჭოს მხრით საქმის გაუკითხაობა და ყველაფრის ერთ კაცზე მინებება; II, აჩქარებით მოქმედება, თითქო საქმის გაკეთება მოსწრებაზე იყოს დამოკიდებული; და III, განსაკუთრებით დიდი საქმეების გამოკიდება და პატარეების კი სრულიად მივიწყება. შეიძლება ამას დავურთოთ კიდევ წმინდა ქართველური თვისებები, როგორც, მაგ., საქმის მოუმზადებლათ დაწყება და უფრო ყვირილი, ვინემ საქმით მოქმედება. ვისურვებთ, რომ მომავალში მაინც აცდენოდეს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ასეთ უკუღმართ მიმართულებას და კეთილი ნაყოფი გამოეღოს მას ადგილობრივ საზოგადოების სასარგებლოთ.

ფ. მახარაძე.

სხვა-და-სხვა ამბები

ახალ ქალაქიდან გვატყობინებენ შემდეგს: აქ უკვე დაზამთრდა. მიწის ძვრას ის უბედურება დაემატა, რომ რაღაც მწერმა სულ გააწყო მოსავალი ისე, რომ აქაურებს სწორეთ შიმშილი მოელისთ. დანგრეულ სოფლებში ერთი სახლიც არავის აუშენებია ჯერ, და როგორ გაატარებენ ამ ზამთარს ღმერთმა უწყის.

როგორც „ახ. მიმ". ქუთაისიდან ატყობინებენ, იქ 11 ამ თვეს საზარელი მკვლელობა მომხდარა. შექეიფიანებულ ჩოხოსნებს ლაპარაკი მოსვლიათ მეეტლესთან. წაუქცევიათ ეს უკანასკნელი და ფეხ ქვეშ გაუთელიათ. მეეტლეს ბევრი უყვირია, მაგრამ მშველელი არავინ გაჩენია. ბოლოს თავის დასაცველათ უძვრია დანა და მუცელში დაუცია მელიტონ გაბელავასთვის; ამ უკანასკნელის ამხანაგს, კუკლავას, ხანჯლით თავში დაუჭრია მეეტლე. როცა ჩხუბი გათავდა და ორივე მხარეს დაჭრილები სისხლში ცურავდენ, მხოლოთ მაშინ მობრძანებულა პოლიცია, მაგრამ გვიანღა იყო; მეეტლეც და გაბელოვიც მაშინვე გარდაცვლილან.

სოფლის მასწავლებელთა საპენსიო კასის მოქმედება დაიწყება მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან.

ამ დღეებში მთავრობამ დახურა ბოზარჯიანცის თუთუნის ფაბრიკა, რადგან ის ჰიგიენის მხრით ცუდათ ყოფილა მოწყობილი და ცეცხლის მხრივათ საშიში

ს. ნიგოითიდან და შემოქმედიდან გვწერენ, რომ იქაური სამკითხველო წიგნთ-საცავები მეტათ ცუდ ყოფაშია ჩავარდნილი. ნიგოითში, მაგალითათ, არც ბიჭი ჰყავს თურმე სამკითხველოს და არც სანათი აქვს. კარები კი, ღვთის წინაშე, დღე და ღამე ღიაა თურმე. შემოქმედში უპატრონობის გამო 430 ქართულ წიგნში მხოლოთ 290 შერჩენია სამკითხველოს და 148 რუსულ წიგნში — 105. რას აკეთებენ ნეტავი იქაური ხალხის განმანათლებელნი?

7 ოქტომბერს თფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება თფილისის თავად-აზნაურთა კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ასარჩევათ

თფილისის საკომერციო სასწავლებელში სწავლა დაიწყება 17 სექტემბრიდან.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას განზრახვა აქვს თურმე თავის მოხელეებს ჯამაგირები მოუმატოს 35%-ით და სამაგიეროთ მოუსპოს ის ფული, რომელიც ახლა სახლის ქირათ ეძლევათ.

როგორც „ახ. მიმოხ". ატყობინებენ პეტერბურგიდან, თფილისში არსებული „სომხურ წიგნების გამომცემელი საზოგადოება" გაუუქმებიათ.

რადგან ზოგიერთ დამნაშავეთა ციმბირში გადასახლება მოისპო, ამიტომ მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია სატუსაღოების გაუმჯობესებას. აზრათა აქვთ იქ მოსამსახურეთა შტატებში ცვლილება მოახდინონ; სატუსაღოების ზედამხედველებს ჯამაგირი მოუმატონ, და ამ თანამდებობაზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი მოიწვიონ.

✦

წერაკ. გამ. საზოგ. გამგეობას მასწავლებლებათ დაუნიშნავს სენაკის სკოლაში—ბ-ნი მატარაძე და გომარეთისაში—ბ-ნი გორდელაძე.

✦

ბ-ნი ალ. ჰიჰინაძე, რომელიც წერაკ. გამ. საზოგადოებამ მოიწვია ქუთაისის სათ. აზ. სკოლის ინსპექტორათ, დაუნიშნავთ ერევნის სახალხო სკოლების დირექტორათ.

✦

კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წესდება ქუთაისის გუბერნატორს კავკასიის მთავარმართებლისთვის წარუდგენია დასამტკიცებლათ.

✦

„ცნობ. ფურ“. ატყობინებენ, რომ ქუთ. სახალხო სკოლების დირექციას ამ წელს მიუმატეს სახალხო სკოლების ინსპექტორის ორი ადგილი, რომელზედაც უკვე დაუნიშნავთ გორის სემინარიის მასწავლებელი ბ-ნი რუდაკოვი და ქ. ეკატერინოდარ. სამოქ. სასწ. ინსპექტორი ბ-ნი იზმაილოვი. ბ-ნ სუდაკოვის ზედამხედველობაში იქნება სენაკის მაზრის, ბათუმის და ართვინის ოლქის სკოლები, და იცხოვრებს ქ. ფოთში. იზმაილოვის—ზუგდიდის მაზრისა და სოხუმის ოლქის სკოლები, და იცხოვრებს ქ. სოხუმში. ძველ ინსპექტორების—ბ-ნ ნ. ი. ნოვოსპასსკისა შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრის სკოლები და პ. ი. სავიჩის ქუთაისის და ოზურგეთის მაზრების სკოლები.

,,კვალის‘‘ კორესპონდენციები

სადგური მიხაილოვი (ხაშური). აქაური რკინის გზის ექიმ-ფერშლები მეტათ უყურადღებოთ ექცევიან ავათმყოფებს. მაგალითათ უცბათ გახდა ავათ რკინის გზის მოსამსახურე და საჭიროებს იმავ საათში წამლის მიშველებას: მიჰყავთ ავათმყოფი აფთიაქში, მაგრამ... აფთიაქის კარები არის მაგრათ დაკეტილი. როცა დაკეტის მიზეზს გამოჰკითხავთ, პასუხათ გესმით: „თქვე ბაიყუშებო, რატომ ვერ გაიგეთ ამდენ ხანს, რომ ამა და ამ საათების განმავლობაში აფთიაქის გაღებისა და ავათმყოფების მიღების ვადა გათავებულია!..“ ამ დალოცვილ აფთიაქის მესვეურებს, ერთი ის-და დავიწყებიათ, რომ ბარემ გამოეცხადებინათ: ,,ამა-და-ამ საათების განმავლობაში ავათ გახდომაც აკრძალულია‘‘, თორემ, აბა, უამისოთ ხომ რკინის გზის მოსამსახურეებიც ,,იაღლიშათ‘‘ მოდიან და ხშირათ სწორეთ იმ დროს ხდებიან ავათ, როცა ხსენებული აფთიაქის გაღება აკრძალული ყოფილა. ამ გვარათ ჯერ ვერ ეღირსებით აფთიაქის გაღებას და როცა ეღირსებით მაშინაც ბ-ნნი ექიმ-ფერშლები რკინის გზის მოსამსახურე ავათმყოფებს ეჭვის თვალით შეხედავენ და გაუშინჯავათ ასეთ სიტყვებს მიახლიან: შენ, ალბათ სამსახური გეზარება და ავათმყოფობას მიტომ იგონებო. და ამ ეჭვს კი შედეგათ მოსდევს ავათმყოფის უყურადღებოთ გასტუმრება. ღმერთმა დაგიფაროთ და, თუ თქვენი გარეგანი შეხედულობაც არ მოეწონათ და მდაბიოთაც გიცნეს, ახლოსაც არ წაგიკარებენ. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ აქაურმა ექიმ-ფერშლებმა ქართულის ,,ინჩიც‘‘ არ იციან და ამიტომ უფრო ქართველი მოსამსახურეები რჩებიან უყურადღებოთ. ამ აფთიაქში ერთი ქალიც ბრძანდება, რომელიც მუდამ იბღვირება და ხშარათ ,,ჩუდაკ-დურაკის‘‘ სახელით აჯილდოვებს ყველას, ვინც კი თვალში არ მოუვა. არ ვიცით კი, ეს ქალი რისთვის არის ამ აფთიაქში, ,,ჩუდაკ-დურაკის‘‘ საძახებლათ, თუ სხვა რამ თანამდებობისათვის?!. ამ გვარ უდიერათ მოპყრობით დაშინებული ავათმყოფები ხსენებულ აფთიაქში შიშით მისვლას ვერა ჰბედავენ და ხშირათ იძულებულნი ხდებიან გარეშე ექიმებს მიმართონ. იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ვისიც ჯერ არს.

დასასრულ სიამოვნებით აღვნიშნავთ ერთ გარემოებას: დღეს თუ ხვალ შვენიერ სასმელ წყალს ვეღირსებით აქაურები, ხსენებული წყალი სოფ. ქვიშხეთის მხრიდან—რკინის გზის გვირაბიდან იქნება მილებით გამოყვანილი. მილები უკვე მზათ არის, მხოლოთ სათავიდან წყლის მოშვებაღა აკლია. ამ წყლის გამოყვანა ითავა პატივცემულმა ინჟინერმა ბ-ნმა მუსტმა. ამავე პირს დიდი ამაგი მიუძღვის აქაურ რკინის გზის ორ კლასიან სასწავლებლის დაარსებაში. ბ-ნ მუსტს ბევრი საზოგადო საქმე გაუკეთებია დაბა სურამში და აი, ახლა ცდილობს ხაშურისათვისაც; როგორც გავიგეთ, უკვე განუზრახავს, შემწეობა აღმოუჩინოს ხაშურის მომავალ ,,საზოგადო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს‘‘. ამავე სიმპატიურ საქმის დაარსებისათვის დიდათ ცდილობენ რკინის გზის მღვდელი მ. გრიგოლ კიკნაძე, მთავარი ირ. ბერიძე, ბ. იაკობ ტ. კვალიაშვილი და სხვ. იმედია, ადგილობრივი თავად-აზნაურობაც საჭიროთ დაინახავს წიგნთ საცავ-სამკითხველოს არსებობას და ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს

სან—ნარი

ს. სამება. (გურია) ეს სოფელი ეკუთვნის ამალდების საზოგადოებას და შეიცავს ოთხმოც კომლამდე მცხოვრებს. სწავლა-განათლებით ეს სოფელი სხვა სოფლებს არ ჩამორჩება, მცხოვრებნი უმეტესობა გლეხობაა, უმცირესობა აზნაურობა. საზოგადოთ სწავლის ნიჭი და სურვილი ყველა ახალ-გაზრდას აქვს. აქ არის ერთი სამრევლო სკოლა და ერთიც სამინისტრო. სამინისტრო ეკუთვნის მთელ საზოგადოებას, ხოლო სამრევლო მარტო სამებას. მხოლოთ ამ ბოლო დროს ერთი გარემოება აყენებს აქ დიდ აურზაურს: ეკკლესიის გალავანში დუქანი ააშენეს! ამ რვა თვის წინეთ, აქაურმა ღვდელმა მოიყვანა გარეშე კაცი, ააშენა სახლი გალავნის კედელზე და სახარაზო გამართა, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საწვრიმალო დუქნათ, და გალავანში მისასვლელი გზაკი შევიწროვდა. სოფელი დიდათ შეწუხდა უგზობისა გამო. გაიმართა ერთი აურზაური და შეჯახება. არც ერთ პატიოსან ქალს არ შეეძლო გავლა ამ ეკლესიის წინ ისე, რომ უზრდელი სიტყვა არ მოესმინა მედუქნესაგან. ამისთანა უწეს-რიგობამ კინაღამ კაცის კვლაც გამოიწვია. დიდ ალიაქოთს შემდეგ ღვდელმა ეს მედუქნე გაუშვა და დუქანი რამდენიმე აქაურ მცხოვრებს გადასცა. ამ გუნდმა რასაკვირველია, როგორც მეტის შემძლებელმა, ამ სახლს მიუმატეს მეორე სახლი (ფურნე), ხალხი ჯერ ერთსაც ტიროდა და ეხლა სულ უარესი დაემართა. ამით გზა სულ ერთიანათ დაიხშო. უმჯობესი იყო და არის დღესაც ასეთი სახლები აეშენებინათ იქვე სხვა ადგილებზე და ევაჭრათ პატიოსნათ. იმედია მამა მოძღვარი გაასწორებს ყველა ამას და გადაატანინებს იმ სახლებს იქვე ახლო, სადაც თვითონ მედუქნეები ისურვებენ, რითიც ბოლო მოეღება ყოველ დღიურ ჩხუბს და უწესოებას.

მნახველი

პოლიტიკური მიმოხილვა

უცხოეთის სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ამ უკანასკნელ ათი-თორმეტი დღის განმავლობაში ბევრი საყურადღებო რამ მოხდა. დავიწყოთ ისევ ჩინეთიდან, რომელზედაც მიპყრობილია დღეს თითქმის მთელი კაცობრიობის ყურადღება. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა ხდება ამ ჟამათ ჩინეთში, ისე არეულდარეულია იქ საქმეები; თუმც ომის გაგრძელება, გარდა გერმანიის იმპერატორის, ვილჰელმ II, ყველას მობეზრდა, მაგრამ არც მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმეს ეტყობა საიმედო რამ. თუ რას უნდა მოელოდნენ სახელმწიფოები ჩინეთის მთავრობის მხრით ეს, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ჩინეთის მთავრობამ მომავალ საშვიდობო მოლაპარაკებისთვის თავის მხრით დანიშნა, ლიხუნ-ჩანგს გარდა, პრინცი ცინი და იუნლუ, რომლებიც და განსაკუთრებით უკანასკნელი, უცხოელთა წინააღმდეგ მოძრაობას მეთაურობდნენ. ჩინეთის მთავრობის ასეთი განკარგულება აშკარათ ჰყოფს იმას, თუ როგორ უცქერის იგი მშვიდობიანობაზე მოლაპარაკებას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იმავე მთავრობის განკარგულებით, ამ მოძრაობის სხვა მეთაურებმა: ტუანმა, ტუნფუციანმა, ტაოტაიმ და პრინცმა ჯანმა, უმაღლესი სახელმწიფო დანიშნულება მიიღეს. ნუ თუ ახლაც ვერ ხედვენ უცხო სახელმწიფოები, თუ როგორ ექცევა ჩინეთის მთავრობა მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკების საქმეს? მაგრამ მეორე მხრით არც უცხო სახელმწიფოთა მხარეზე ხდება ყოველივე მშვიდობიანობის ჩამოგდების სასარგებლოთ. წარმოიდგინეთ, ამ მოლაპარაკების დაწყებამდისაც კი ვერ შეთანხმებულან ისინი ერთმანეთ შორის. მკითხველებმა იციან, თუ როგორ მიეგებენ რუსეთის მთავრობის წინადადებას პეკინიდან ჯარების გაყვანის თაობაზე დანარჩენი სახელმწიფოები. მეორე წინადადება ეკუთვნის გერმანიის მთავრობას, რომელმაც 5 სექტემბერს აცნობა იგი დანარჩენ სახელმწიფოთა მთავრობებს. ამ წინადადების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიის მთავრობას აუცილებლათ მიაჩნია, სანამ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყებოდეს ჩინეთის მთავრობასთან, ამ უკანასკნელმა მისცეს უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს ევროპიელთა ამოჟლეტის მეთაურნი და ხელმძღვანელნი ჩინეთში. ჩვენ არ ვიცით ჯერ-ჯერობით სახელმწიფოების გადაწყვეტილი პასუხი ამ წინადადებაზე გარდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკისა, რომლის მთავრობა პირდაპირი წინააღმდეგია ასეთი წინადადებისა: მისი აზრით მხოლოთ საქმის გამოძიებას შეუძლია გამოააშკარავოს ნამდვილი დამნაშავენი. ამნაირათ ჩინეთში ომის დაბოლოვების საქმე ორივე მხრით გაჭირვებულია და ძნელი მოსალოდნელიც არის, რომ ახლო მომავალში ის დაბრკოლებანი, რომლებიც მშვიდობიანობის ჩამოგდებას წინ ეღობებიან, აცდენილი იქნენ.

სამხრეთ აფრიკაში ლორდ რობერტსმა გამოაქვეყნა, რომ ომი გათავებულია, ორივე რესპუბლიკა დიდ ბრიტანიას შემოუერთეო, და ვინც ამას შემდეგ იარაღს არ დაჰყრის, ის ჩვეულებრივ მეამბოხეთ ჩაითვლება, და როგორც ასეთი სასტიკათ დაისჯებაო. ყველაზე უფრო საყურადღებო და გასაკვირველია მოხუცი პრეზიდენტის კრიუგერის ევროპაში გამგზავრება. მას სწადია ერთხელ კიდევ სცადოს ევროპის მთავრობათა წინაშე შუამდგომლობა ერთხელ კიდევ შეაბრალოს მათ თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი. ჩქარა გავიგებთ, თუ რა შედეგი მოჰყვება კრიუგერის მოგზაურობას. რობერტსმა პირდაპირ იწინასწარმეტყველა, რომ ევროპაში მას ნურაფრის იმედი ნუ ექნებაო.

თუ ახლა ომის ამბებს გავუშვებდა, ევროპის სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკას მივმართავთ, აქაც ბევრ

საყურადღებო რამეებს დავინახავთ. ამ მხრით განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ავსტრიის და ინგლისის პარლამენტების დათხოვა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშნვა. ამ ორი პარლამენტის დათხოვის გარემოება სხვა-და-სხვაა: მაშინ როცა ინგლისის პარლამენტი დათხოვნილ იქმნა იმის გამო, რომ მან თავისი სამსახურის ვადა შეასრულა, ავსტრიის პარლამენტის დათხოვა კი შინაური კრიზისით არის გამოწვეული, ე. ი. გამწვავებული ეროვნული ბრძოლით. მაგრამ ამ პარლამენტების დათხოვას ის საერთო აქვს ერთმანერთ შორის, რომ მომავალ არჩევნებზე დამოკიდებულია ორ ეროვნებათა ასეთი თუ ისეთი ბედ-იღბალი, ე. ი. ინგლისის არჩევნებისაგან — ბურების და ავსტრიაში — ჩეხების. საწუხაროთ, დღევანდელი გარემობა ორივე სახელმწიფოში ისეთია, რომ მომავალი არჩევნები არც ინგლისში და მით უმეტეს ავსტრიაში არაფერს კარგს არ უქადიან ქვეყანას. საქმე ის არის, რომ რაც უნდა კარგათ და სასურველათ ჩაიაროს ამ არჩევნებმა, სრულებით მოსალოდნელი არ არის, რომ რადიკალების ანუ მუშათა პარტიების უმრავლესობა შედგეს ინგლისის და ავსტრიის მომავალ პარლამენტებში; ლიბერალურ და კონსერვატულ უმრავლესობიდან არაფერ კარგს არ უნდა მოელოდეს ქვეყანა. ამიტომ, ბურებისთვის მაგ., სულ ერთია ისევ ძველი კონსერვატულ-უნიონისტური უმრავლესობა, რომელმაც გამოიწვია დღევანდელი ომი აფრიკაში, იქნება არჩეული, რაც უფრო მოსალოდნელია, თუ ნეტარ ხსენებული დიდებული ლიბერალური დასი, რაც სრულებით მოსალოდნელი არ არის. ყოველ შემთხვევაში მომავალი საპარლამენტო არჩევნები, როგორც ინგლისში, ისე ავსტრიაში მეტათ საყურადღებოა.

შავი-ქვის მწარმოებელთა კრების გამო.

(ჩვენ მოწინააღმდეგე პარტიას).

არ იკმარეთ ის, რომ ყოველგვარი შემცდარი აზრები და ჭორები გაავრცელეთ ქუთაისში შავი-ქვის მწარმოებელთა კრების გამო.

თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ არ შეგვიგნია მარგანეცის საქმის ვითარება, არა გვქონია არავითარი პროგრამა, თუ რაიმე მისწრაფება გვქონდა — ეს მხოლოთ ბ. ზდანოვიჩის გადაყენება.

რაზე ამყარებთ ამ აზრებს? ნახეთ და გაიცანით ჩვენი პროგრამა? ჩაუკვირდით ჩვენ ნალაპარაკევს? არა, თქვენ ამისთვის თავი არ შეგიწუხებიათ, თუმცა მარტივი და ადვილათ გასაგები კი იყო ჩვენი პროგრამა. იგი ადრევე იყო შედგენილი, გამოქვეყნებული, ბევრჯერ იყო ყველასათვის ახსნილი და განმარტებული ჭიათურაში და ქუთაისში, არავისთვის არ იყო დაფარული.

ჩვენ ვიდექით წვრილ მწარმოებელთა მხარეზე რისთვის? მხოლოთ წვრილი მწარმოებლები არიან დღეს ნამდვილი მწარმოებლები შავი-ქვის, ნამდვილი მრეწველები; სხვილები კი თითქმის ყველანი ჩარჩები, შემყიდველები, კომისიონერები. თქვენ ხომ სიმართლის მიმდევარი ხართ, და როგორ ფიქრობთ, არ უნდა მივემხროთ წვრილებს, ამ ნამდვილ მწარმოებელთ, არ ვეცადოთ მათ გამაგრებას, არ გავუადვილოთ მათ — პირდაპირ საქონლის მყიდველთან იქონიონ საქმე უცხოეთში? წვრილი მწარმოებლები არიან უბრალო ხალხი, მათგანმა ბევრმა წერა-კითხვაც არ იცის, მათ ვერ შეუგნიათ კარგათ თავისი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზები, თუ შეუგნიათ, თქვენ ხომ დიდი, იდეალური შეხედულობის ხართ ინტელიგენციაზე, მის დანიშნულებაზე, და გვითხარით: არ უნდა დავხმარებოდით წვრილ მწარმოებლებს, ხალხს — მრეწველს?..

აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა კითხვებისათვის უნდა მიგვექცია უფრო ყურადღება კრებაზე. სამი უმთავრესი კითხვა გვქონდა ჩვენ, (რომლებიც მოითხოვდა კარგათ მომზადებას ჩვენგან): რჩევის ჭიათურაში გადატანა, პლატფორმების და ვაგონების განაწილების წესრიგის შეცვლა და თავმჯდომარის და სხვა პირების დაცვლა. რჩევის გადატანა გვინდოდა იმიტომ, რომ შავი-ქვის საქმე ჭიათურაშია და იქ უნდა იყოს მისი მართველობაც, ყველაზე უფრო რჩევის დახმარება ესაჭიროება წვრილებს, ამათთვის კი ყოველ საქმისთვის ქუთაისში ჩასვლა ძნელი და მოუხერხებელიცაა; რჩევის ჭიათურაში გადატანა მიიზიდავს იქ განათლებულ ძალებს, რომლებიც სასარგებლო იქნებიან შავი ქვის წარმოებისათვის.

პლატფორმების და ვაგონების განაწილების შეცვლის კითხვას ბევრი განმარტება არ უნდა: დღეს ჭიათურაში პლატფორმებია ყველაფერი; პლატფორმები თითქმის ყველა მსხვილების, არა წარმოებელთა, შემყიდველთა ხელშია, რომლებიც აიძულებენ წვრილებს ან მიჰყიდონ მათ იაფათ ქვა, ან ისევ მაღნებში ჰქონდეთ გაუყიდავათ, რადგან თვითონ წვრილებს საწყობი ადგილები არა აქვთ.

დღევანდელი თავმჯდომარის გამოცვლა და მის მაგიერ ნ. ნიკოლაძის არჩევა ყველაზე უფრო ხალხის წამოყენებული კითხვაა. საზოგადოთ შავი-ქვის მწარმოებელთა შორის ათი კაციც არ მოიძებნებოდა, რომ ნ. ნიკოლაძის არჩევა არ ნდომებოდეს. როდესაც წვრილ მწარმოებელთა მეთაურებმა დავიწყეთ მომავალი კრებისთვის მზადება, ვიწვევდით ხალხს, ვუხსნიდით და განუმარტავდით კრებების პროგრამას, ჩვენ თავდაპირველათ სრულებით არ გვქონია ლაპარაკი თავმჯდომარის გამოცვლაზე, თუ სხვა არჩევანებზე. ამ კითხვაზე ბოლოს გვქონდა საუბარი, როდესაც თვითონ მრეწველებმა პირდაპირ წამოაყენეს. ეს არავისთვის არ არის საეჭვო, რომ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა რჩევის თავმჯდომარის ადგილზე მეტათ ნაყოფიერი იქნებოდა. მას ადვილად

შეეძლო გაეყვანა, სადაც ჯერ არს, პლატფორმების და ვაგონების განაწილების შეცვლა, მოეწყო იაფი და სასარგებლო კრედიტი წვრილებისათვის და სხ. მხოლოთ თუ ნ. ნიკოლაძის უარის თქმის შემდეგაც წვრილების პარტიამ თავი არ დაანება თავმჯდომარის გამოცვლას, ეს იმიტომ, რომ როგორც ბ. ზდანოვიჩის ისე მის მომხრეთა სიტყვებმა და საქციელებმა ცხადათ დაანახვეს პარტიას, ვიდრე ბ. ზდანოვიჩი იმ პირების ხელში იქნება, რომლების ხელში დღეს არის, იგი ვერ დაიცავს სასურველათ წვრილების ინტერესებს. არა მარტო თავმჯდომარე, ჩვენ გვინდოდა ყველა თანამდებობაზე ისეთი პირები გვყოლოდა, რომლებიც წვრილების მხარეზე იქნებოდენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია.

სამი უმთავრესი კითხვა აღვნიშნეთ ზევით. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სხვა საგნებისთვის ყურადღება არ მიგვექციოს: მეტათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით ისეთ კითხვებს, როგორიცაა მუშების დაზღვევა, საპენსიო კასსა მუშებისათვის, ჭიათურის პასადათ გადაკეთება, მუშებისათვის სასადილოების, სკოლის, თეატრის გამართვა და სხ. მხოლოთ კერძოთ ჩვენ პროგრამაში არ შევგიტანია ეს კითხვები იმიტომ, რომ ზოგი მათგანი რჩევას ჰქონდა შემუშავებული, ზოგი ყველასათვის სასურველი იყო და წინააღმდეგობას არავინ გაგვიწევდა, ზოგი მარტივი და ადვილი გასაგები იყო. ასე თუ ისე არ მოითხოვდენ ეს კითხვები წინათვე განმარტებას, სჯას, მომზადებას ჩვენგან. მაგრამ მარტო იმ სამი კითხვისათვის ხომ არ შეგვიდგენია ჩვენი ძალები, ეს საკმარისათ ჩანს კრების ანგარიშებიდან. იყო კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ჩვენ მეტათ გვაინტერესებდა — ეს წვრილებისათვის შეღავათიანი კრედიტის მოპოება, ისეთი კრედიტის, რომელიც შეაძლებინებს მათ პირდაპირ ფაბრიკანტებთან და მექარხნეებთან დაიჭირონ საქმე (ასეთივე საშუალებათ მიგვაჩნია წვრილების ამხანაგობებათ შეერთება). მხოლოთ კრედიტის კითხვა არ შეგვიტანია ჩვენს კერძო პროგრამაში, რადგან ის არ იყო აღნიშნული კრების პროგრამაში, მაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, ჩვენ არც ვემზადებოდით ამ კითხვისთვის; და თუ მინისტრის დეპეშამი ამ კითხვაზედაც სჯის ნებართვა მოვითხოვეთ იმ განზახვით, რომ ცოტა რამ მაინც გაკეთებულიყო კრედიტის გაადვილების სასარგებლოთ. კრედიტის კითხვის სავსებით განხილვა და მისი ორგანიზაცია მომავალი კრებისთვის დარჩა.

სერიოზული ადამიანები ბრძანდებით და ერთი გვითხარით: გაქვთ თქვენ რაიმე უფლება ილაპარაკოთ და ბეჭდოთ გაზეთებშიაც, რომ ჩვენ შრომას, მოქმედებას, აგიტაციას, ლაპარაკს ერთი მიზანი ჰქონდა—ბ. ზდანოვიჩის გადაყენება? სწორედ ჩვენ ნება გვეძლევა ვიფიქროთ, რომ თქვენ მოკლებული ხარ ლოდიკას. კარგათ ჩაუკვირდით ზემო მოყვანილს და კრების ანგარიშებს და თქვენ თავს მაინც მიეცით პასუხი სწორი.

თავი დავანებოთ კერძოთ სხვა შემცდარ აზრებს და სიცრუეებს, რომლებსაც ავრცელებთ ჩვენი ნათქვამის [1]) თუ საქციელების შესახებ. მაგრამ ორი ფაქტი კი აღვნიშნოთ: 1) ვითომ ხალხი, პარტია გადაგვდგომოდეს ჩვენ, მეთაურებს და გაეკიცხოს ჩვენი მოქმედება და 2) ვითომ ჩვენ დამარცხებული ვიყვეთ.

განა ბ. ჟღენტის და პარტიის რამდენიმე მაგისთანა წევრების გადადგომა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარ გვყო ჩვენმა პარტიამ (მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბევრი სხვა-და-სხვა ხრიკების შემწეობით ჩამოგვაშორეს)? უკანასკნელ განა ეს ცხადი არ იყო თქვენთვის არჩევნების დღესაც, ნამეტურ გზების შესახებ რომ საყვედური გამოვუცხადეთ რჩევას 55 წინააღმდეგ 39-სა (მაშინ, როდესაც მთლათ განადგურებული გეგონეთ!)?

დამარცხდითო, ამბობთ. რაში? კითხვების გადაწყვეტაში? ერთი აიღეთ ხელში კრების პროგრამა და გვიჩვენეთ, რომელი კითხვა არ გადაწყვეტილა ისე, როგორც ეს ჩვენ გვიხდოდა? არა! არ შეგვფერით ასეთი შემცდარი აზრებით იკვებებოდეთ და სხვებსაც აწვდენდეთ მათ!

რაც შეეხება არჩევნებს, მართალია ჩვენი კანდიდატები ვერ გავიყვანეთ, მაგრამ ეს შემთხვევითი დამარცხებაა. რომ უმრავლესობა წევრებისა დღევანდელი თავმჯდომარის წინააღმდეგი იყო, ეს უეჭველია (იხ. ზევით), მაგრამ თუ ზოგიერთ ჩვენ მოწინააღმდეგეთ თითოს ათამდე კენჭი ჰქონდათ და მით გაიყვანეთ თქვენი კანდიდატები, ეს ვერაფერი გამარჯვებაა. ჩვენ ნ. ნიკოლაძის იმედი გვქონდა უკანასკნელ დღეებამდის, მერე კი სასურველი კანდიდატის მოპოება ძნელი იყო და ჩვენ მოუმზადებელი დავრჩით ამ მხრივ. როდესაც ჩვენ მთელ ძალას კითხვების ასე თუ ისე გადაწყვეტას ვინდომებდით, თქვენ, ჩვენი მოწინააღმდეგენი, კანდიდატის გაყვანას ემზადებოდით. ერთად-ერთი საშუალება, რომლითაც ჩვენ ვშოულობდით მომხრეებს, ეს იყო ჩვენ პროგრამა; ვისაც არ მოსწონდა, ჩვენ ძალას არ ვატანდით. თქვენ, ჩვენ მოწინააღმდეგეთ? ვინ არ დაგეხმარათ თქვენ, ქალი და კაცი? თქვენ ხომ იცით (თქვენზე უფრო ვინ უნდა იცოდეს!) კ. ჩიკვაიძის საგიტაციო საშუალებანი, ავიღოთ ქაღალდი, დავწეროთ ერთ მხარეზე ეს საშუალებანი, მეორეზე თქვენი საშუალებანი და შევადაროთ (პირუთვნელათ, ინტელიგენტურათ) რომლები რომლებს გადააჭარბებს...

საკვირველია და გაუგებარი! ჩვენი პროგრამა ჩვენი მოქმედება თავის თავათ სრულებით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თქვენს პრინციპებს, მაშ რამ აგამხედრათ ყველანი ჩვენ წინააღმდეგ! თქვენ რომ პირდაპირ საქმე არა გაქვთ შავ ქვასთან, პირიქით თქვენ ხომ ოქროებს არ ჰკარგავთ ჭიათურაში! რამ გაგაფიცხათ, რამ გაგამწარათ

[1]) ხშირათ ნამეტან ამახინჯებთ ჩვენ სიტყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რამ დაგიბნ„ლათ ისე გონება, რომ მარტივ საგნებსაც ვერ არჩევთ, ხედავთ და გესმით ის, რაც არ არის!.. რა არის ამის მიზეზი. რაშია, საქმე? — საქმე... საქმე მესამე დასშია!..

რა შუაშია აქ მესამე დასი! გესმით კი, რა არის მესამე დასი? თქვენი საქტიელი ცხადათ გვიჩვენებს, რომ თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ მესამე დასზე; აბა რა მესამე დასელობაა საჭირო მისთვის, რომ ადამიანმა დაიცვა ზემო მოყვანილი აზრები? მეტი დაეკვირვება საქმეზე, მეტი შეგნება ახალი ცხოვრებისა, მეტი პირდაპირობა და გულ-წრფელობა, სხვა არაფერი.[2])



ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.



ნორვეგიის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.



სათათრეთის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე.

ხელოვნება და მისი მიზანი.*)

ყოველ მკითხველს შეუძლია, იკითხოს: რათ უნდა იყოს საზოგადოებრივი სარგებლობა ხელოვნების მიზანი? ასეთი კითხვა საფუძვლიანია და ვეცდები, შეძლებისა დაგვარათ ავხსნა. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ ქვეყნიერობა მრავალ პატარა კუნძულებათ არის დაყოფილი, თვითოეულ კუნძულზე მხოლოთ ერთი ადამიანი ცხოვრობს; ერთმანერთთან მიმოსვლა მათ არც შეუძლიათ, არც საჭიროებენ, მხოლოთ დრო გამოშვებით ქალსა და მამა-კაცს საშუალება ეძლევათ, ერთმანერთი ინახულონ, რის გამო კაცობრიობა შეუფერხებლათ მრავლდება. ყოველ ახალ წევრს საკუთარი კუნძული ეძლევა. ამ გვარათ არავითარი საზოგადოება არ არსებობს, ყოველი ადამიანი ცხოვრობს თავის თავისთვის, საზოგადოების გარეშე. აშკარაა ასეთ ადამიანს არავითარი წარმოდგენა არ ექნება რაიმე ზნეობაზე და მოვალეობაზე. ამ გვარ ადამიანს სრული უფლება აქვს, იცხოვროს ისე, როგორც მას უნდა, იმოქმედოს და იფიქროს, როგორც ენებება. არავითარი დაბრკოლება, არავითარი შეზღუდვა უფლებათა მისთვის არ არსებობს. ბუნებამ ისე მოაწყო მისი აგებულება, რომ ყოველ უჯრედს ინ-

[2]) ჩვენ მივიღეთ ამავე საგნის შესახებ მეორე მეთაური საგანაც წერილი, რომელსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ და შემდეგ ჩვენ აზრსაც გამოვთქვამთ. რედ.

*) იხ „კვალი“ № 36.

სტიქტიურათ გამჯდარი აქვს სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული; მის ნერვებს გრძნობელობის თვისება აქვსთ, მას ეს კი შეუნიშნავს, რომ ზოგიერთი გრძნობელობა მისთვის სასიამოვნოა, ზოგი კი უსიამო; დაუკვირდება თავის ბუნებას და მალე დარწმუნდება, რომ სასიამო გრძნობელობა მისთვის მარგებელია, უსიამო კი მაზარალებელი. რადგანაც სიცოცხლის ინსტიქტიური სიყვარული სარგებლობისაკენ იწევს, ზარალს კი გაურბის, ამიტომ ჩვენი ჰიპოტეტიური ადამიანი თავის მოქმედებაში მხოლოთ საკუთარი სიამოვნებით, საკუთარი სარგებლობით იხელმძღვანელებს. რატომო, თუ იკითხავთ, იმიტომ რომ საზოგადოთ ყოველი ცხოველისა და ადამიანის ორგანიზაცია ასეთია, ეს კანონი ფიზიოლოგიურია და არა ჩემ მიერ გამოგონილი; ალტრუისტული გრძნობანი რომ განუვითარდეს, შეუძლებელია, რადგანაც მთელ კუნძულზე ის ერთათ-ერთი ადამიანია. გაიარა ასეთ მდგომარეობაში დიდმა დრომ. ხალხი ისე მომრავლდა, რომ ცალკე კუნძულბი აღარავის გახდა და კერძო ცხოვრება თანდათან საზოგადოებრივ ცხოვრებათ შეიცვალა, ადამიანი საზოგადოებრივ არსებათ გადაიქცა. პირველ ხანებში ასეთი ადამიანი თავის მოქმედებაში ისევ საკუთარი სარგებლობით იხელმძღვანელებს, ისე როგორც წინეთ, ინდივიდიალური ცხოვრების დროს; მაგრამ მალე შენიშნავს, რომ მისი ცხოვრება საზოგადოებაში იმდენათ უნაკლულო აღარ არის, როგორც კუნძულზე იყო: იქ ყოველგვარ სურვილს ისრულებდა, მოქმედებაში მისი ხელის შემშლელი არავინ იყო, აქ კი თავის ბევრ სურვილს ვერ იკმაყოფილებს, სარგებლობის მაგიერ ხშირათ ზარალშიც ვარდება. თუ ეს ადამიანი ამ ახალ ცხოვრებას ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ ცვლილების მიზეზი ის არის, რომ ყოველი წევრი, რომლებისაგანაც საზოგადოება შედგება, მასავით მხოლოთ საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობს და ამასთან ხელმძღვანელობს განუსაზღვრელათ. რადგანაც მათი მოთხოვნილება მარტივია, თითქმის მხოლოთ ფიზიოლოგიური, ამიტომ სარგებლობისა და სიამოვნების წყარო ყველასათვის ერთი და იგივეა, ყველა აქეთ ეტანება განუსაზღვრელათ და ერთი მეორეს ხელს უშლის. ასეთი საზოგადოების წევრნი, როცა იქნება, მივლენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობის შეზღუდვა იმდენათ, რომ ერთმანეთს ნაკლებათ აზარალონ და ამით არსებულ პირობებში ყოველმა ადამიანმა, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამონახოს, მეტი სიამოვნება მიიღოს. რაკი ერთხელვე მივლენ ასეთ დასკვნამდე, ან პირობას დადებენ, რომ მოქმედების დროს ერთი მეორის ინტერესებიც სახეში იქონიონ და ამით თავისი მოქმედება შეზღუდონ; თუ თავის ნებით არ შეთანხმდებიან, სულ ერთია—ადრე თუ გვიან ცხოვრება თვით აიძულებს, რომ ამ გზას დაადგენ: ყოველი საზოგადოება იმ გზას ირჩევს, რომლის ბოლოშიც უფრო მეტი ბედნიერებაა არსებულ პირობებში. დაადგება თუ არა ჩვენი ჰიპოტეტიური საზოგადოება ამ გზას, ამით ის აარსებს ზნეობის პირველ პრინციპს: იცხოვრე ისე, რომ შენი საზოგადოების წევრს რაც შეიძლება ნაკლებათ აზარალო. გავიდა რამდენიმე საუკუნე: ხალხი გამრავლდა, ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მარტო საკუთარის ძალ-ღონით გაძნელდა. ამ დროის ჰიპოტეტიური ადამიანი დაკვირვებიდან უსათუოთ გამოიტანს იმ დასკვნას, რომ ხანდახან სხვისთვის სარგებლობის მოტანა შენთვისაც სასარგებლოა. მაგალითათ მოჰკლა ერთმა გარეული ხარი; სანამ სულ შეჭამდა, მატლი დაესია, აუყროლდა; ასეთმა ხორცმა აწყინა და იძულებული გახდა, გადაეგდო. მის მეზობელს კი ამავე დროს მთელი კვირის განმავლობაში ვერა მოუკლავს-რა და ხან მშიერია, ხან ბალახით საზრდოობს. რამოდენსამე ხანს შემდეგ მისმა მეზობელმა ხარი მოჰკლა, მან კი ვერაფერი; ის მშიერი დარჩა, მის მეზობელს კი კიდეც აუყროლდა ხორცი და მასავით გადასაგდები გაუხდა. ერთსაც და მეორესაც, როდესაც მეორეთ მოკლავენ დიდ ნადირს, კარგათ ეცოდინებათ, რომ სულ ვერ შეჭამენ, ამიტომ როცა იქნება, ამ დასკვნამდე მივლენ: რაც მეტია, მეზობელს მივცემ და, როცა მას ექნება, ის მე მომცემსო. ვიმეორებ, ასეთი მაგალითები ნელნელა დაარწმუნებს ჩვენი ჰიპოტეტიური საზოგადოების წევრებს, რომ ერთმანეთის დახმარება სასარგებლოა.

როგორც დავინახეთ, საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს, ბორკავს. საკუთარი სიამოვნებისა და სარგებლობის უსაზღვრო სიყვარული ასეთ შებორკვას უსათუოთ ეწინააღმდეგება და უეჭველია, როცა იქნება, გამოჩნდებიან ისეთნი, რომლებიც ზემოთ დადებულ პირობას დაარღვევენ, თავისი სარგებლობის გულისათვის სხვის ინტერესებს უარყოფენ, და ამგვარათ საზოგადოება ნელა ნელა გაიყოფა ორ ჯგუფათ: ერთი იქნება დამჩაგვრელი, მეორე დაჩაგრული. ასეთი დაყოფის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უწინდელ დროში ომიანობას და ზნეობის ზემოთ აღნიშნულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც რომელიმე ველური თავისი გვარეულობის წევრს არას ერჩოდა, სხვისას კი შესაძლებლათაც არ ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობდა. ასეთი ორი მთავარი ჯგუფი ადამიანის საზოგადოებაში უძველესი დროიდან არსებობს. აიღეთ მონობა, ბატონ-ყმობა, დღევანდელი დრო; ყოველგან ერთი ნაწილი დამჩაგვრელი იყო და არის, მეორე დაჩაგრული. დამჩაგვრელია მონების პატრონი, ბატონი, ბურჟუა; დაჩაგრულია მონა, ყმა, პროლეტარი. ამ ორ მთავარ ჯგუფს გარდა ყოველთვის რჩებოდა და დღესაც არის ერთი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც არც პირველს ეკუთვნის, არც მეორეს; ხოლო ამ ნაწილის ზოგი წევრი დამჩაგვრელთ ემხრობა, ზოგი დაჩაგრულთ. ჩვენი დროის ინტელიგენცია უმთავრესათ ამ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენ ჰიპოტეტიურ საზოგადოებაში დამჩაგვრელები ეცდებიან, თავისი ძალა და მდგომარეობა შეინარჩინონ, დაჩაგრულნი კი იმის მეცადინეობაში იქნებიან, რომ დამჩაგვრელნი მოიშორონ და თავისი ცხოვრება გააუმჯობესონ. საერთო ინტერესები ორი ჯგუფის წევრებს ცალ-ცალკე შეაერთებს; პირველნიც დარწმუნდებიან და მეორენიც, რომ შეერთებით, ერთმანეთის დახმარებით უფრო მიაღწევენ თავ თავის მიზანს. ცხოვრების ასეთი და ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადამიანში ნელა ნელა ააღორძინებს და გააძლიერებს იმ რწმენას, რომ საჭიროა ერთი მეორის დახმარება. რაკი საზოგადოება ამ გზას დაადგება, ამით ის აფართოებს ზნეობის პირველ პრინციპს და აღიარებს მეორეს: იცხოვრე ისე, რომ შენი საზოგადოების წევრს სარგებლობა მოუტანო. მთელი კაცობრიობის ზნეობრივი ცხოვრება უძველესი დროიდან ჩემი აზრით ამ ორი პრინციპის გარშემო ტრიალებს; დროთა განმავლობაში ერთი საზოგადოება გადაიქცევა სამშობლოთ, სამშობლო კიდევ მთელ კაცობრიობათ. მაშინ როდესაც რომელიმე ველური თავისი გვარის ინტერესებს ვერ გაცილებია, დღევანდელ განათლებულ ევროპელს კაცობრიობის ინტერესები აკერია ენაზე. ამ გვარათ ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანის ერთათ ერთი მიზანი საკუთარი ბედნიერებაა. რაკი საზოგადოება გაჩნდა, საკუთარი ბედნიერების მიღწევა შეუძლებელი ხდება, თუ სხვისი ინტერესებიც არ მიიღე მხედველობაში. როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდება, მაშინ საკუთარი ბედნიერების მიღწევა შეუძლებელი ხდება, თუ სხვისი ბადნიერებისათვისაც არ იზრუნე. ჩვენ ჰიპოტეტიურ საზოგადოებაში, რომელმაც ზნეობის მეორე პრინციპი უკვე აღიარა, მალე გაჩნდებიან იდეოლოგები, რომლებიც ზნეობრივი მოქმედების მატერიალურ სარჩულს ყურადღებას არ მიაქცევენ, ვერ შეამჩნევენ და გამოიგონებენ მოველეობას, კათეგორიულ იმპერატივს და სხვ. მაგრამ მოვალეობა, კათეგორიული იმპერატივი სრულებით მეტაფიზიკური მცნებაა და ადამიანის ბუნებაში მათ არავითარი რეალური საფუძველი არა აქვთ. თავდაპირველათ ადამიანი სხვას იმიტომ კი არ დაეხმარა, რომ მოვალეობამ აიძულა, არამედ დარწმუნდა, რომ ასეთი დახმარებით ის თავის სასარგებლოთაც მოქმედებდა ე. ი. ცხოვრებამ აიძულა, დახმარებოდა სხვას. საზოგადოების ამგვარი წყობილება, სადაც ყველა ცდილობს თავისი მოქმედებით ერთი მეორეს სარგებლობა მოუტანოს, რაიმე მოვალეობაზე ან სხვა ზნეობრივ გრძნობაზე კი არ არის დამყარებული, არამედ საკუთარი ინტერესების სიყვარულზე და აუცილებლობაზე. ასეთი წყობილება საუკეთესო და ერთათ ერთი შესაძლებელი საზოგადოებრივი წყობილებაა, საცა ყოველ ადამიანს შეუძლია, რაც შეიძლება მეტი ბედნიერება მოიხვეჭოს, და ამიტომაც აუცილებელია, რადგანაც თვით ბედნიერების წყურვილი არის ადამიანის ბუნების აუცილებელი ინსტიქტიური თვისება. დღევანდელმა ცხოვრებამ უკვე აღიარა ეს მეორე ზნეობრივი პრინციპი და მომავალში უსათუოთ განხორციელდება ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, საცა ეს პრინციპი ყოველ ადამიანს ძვალ-რბილში ექნება გამჯდარი. ასეთია სასურველი კი არა არამედ აუცილებელი გზა საზოგადოებრივი განვითარებისა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რაც შეიძლება მეტი ბედნიერების შეძენის სურვილი არსებულ პირობებში საშუალო ადამიანის თვისებას შეადგენს, ეს გზა ერთათ ერთი გზაა. სოციალურ ფორმაში განხორციელდება ეს მომავალი წყობილება, კომმინუსტურში, თუ სხვა გვარში, ამის მიხვედრა შეუძლებელია და მთავარი არც ეს არის.

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ?

(ზღაპარი თ. შჩეპკინი-კუპერნიკისა)

ᲐᲔᲨᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲐ—ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲛᲐ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚ-ᲓᲦᲔᲝᲗ; ᲓᲐ ᲐᲘ, ᲒᲐᲜᲘᲖᲠᲐᲮᲔᲡ ᲓᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲔᲞᲧᲠᲝᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲐᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲓᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲔᲜ—ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲐᲮᲝᲕᲐᲜᲘ, ᲐᲛᲐᲧᲘ ᲡᲐᲮᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲬᲘᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲨᲘᲨᲠᲐᲗ ᲒᲐᲘᲧᲣᲠᲔᲑᲓᲔᲜ ᲬᲘᲜ, ᲓᲔᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲗᲕᲐᲚ-ᲣᲬᲕᲓᲔᲜ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ, ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲤᲝᲤᲮᲐᲕᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲤᲣᲡᲤᲣᲡᲔᲑᲓᲔᲜ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲨᲘ ᲞᲐᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲜᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐᲗ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ. ᲛᲐᲡ ᲛᲮᲠᲔᲑᲡ ᲣᲨᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ, ᲮᲔᲚᲨᲘ ᲔᲞᲧᲠᲐ ᲛᲝᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲮᲛᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲛᲣᲡᲠᲐ ᲫᲐᲚᲛᲝᲛᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐ.

— ᲔᲡ ᲛᲗᲚᲐᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ! ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲠ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲒᲐᲘᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲮᲛᲐᲛ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲖᲘ, ᲬᲧᲜᲐᲠᲘ, ᲨᲣᲥ-ᲛᲝᲛᲤᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲮᲔᲚᲨᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲐᲫᲦᲕᲜᲝᲗ. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲡᲪᲘᲜᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ-ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲣᲠᲘ ᲮᲛᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ:

— ᲓᲘᲐᲮ, ᲔᲡ ᲛᲗᲚᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲙᲘ ᲓᲣᲛᲓᲐ. ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲜᲯᲘ. ᲤᲐᲠᲗᲝ ᲨᲣᲑᲚᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲓᲐ: ᲦᲠᲛᲐ, ᲣᲫᲘᲠᲝ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲡ ᲰᲤᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲛᲐᲜᲐᲗᲝᲑᲔᲚᲘ ᲩᲘᲠᲐᲦᲓᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲪᲥᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲦᲚᲐᲪ ᲨᲝᲠᲡ.

ᲑᲝᲚᲚᲝᲡ ᲛᲝᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ:

— ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ, ᲓᲔᲑᲝ, ᲩᲔᲛ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲐᲡ!.. ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲫᲜᲔᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲣᲩᲔᲛᲝᲗ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ.

— ᲩᲕᲔᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲒᲮᲓᲔᲑᲐ!—ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲛ.

— ᲩᲕᲔᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲒᲮᲓᲔᲑᲐ!—ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲚᲛᲝᲑᲘᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲛ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲛᲝᲘᲝᲮᲠᲐ: ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲐ, ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲛᲘᲔᲨᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲬᲘᲜ; ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲪ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮ ᲥᲕᲔᲨ ᲗᲔᲚᲐᲕᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲡ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲛᲐᲪ ᲐᲘᲛᲐᲦᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲩᲘᲠᲐᲦᲓᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲒᲖᲐᲡ ᲘᲜᲐᲗᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲓᲐ ᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲗ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ ᲬᲘᲜ.

—

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲬᲘᲜ, ᲨᲝᲠᲡ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲓᲔᲑᲘ, ᲛᲘᲐᲞᲝᲑᲓᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲗ ᲘᲡᲣᲜᲗᲥᲐᲕᲓᲐ ᲥᲝᲠᲤᲐ ᲰᲐᲔᲠᲡ.

ᲒᲐᲕᲚᲝᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲚᲝᲡ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ: ᲐᲥ ᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲔᲬᲧᲝᲗ ᲫᲚᲔᲕᲐ-ᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲞᲧᲠᲝᲑᲚᲝᲑᲐ... ᲒᲐᲮᲔᲓᲕᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲣᲔᲪᲠᲘᲕ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲕᲔᲚᲣᲠᲛᲐ ᲑᲠᲑᲝᲛ. ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲛᲮᲐᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲔᲮᲕᲘᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ, ᲨᲔᲘᲞᲧᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲭᲑᲝᲭᲔᲡ ᲘᲡ... ᲛᲘᲡᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ; ᲘᲡ ᲡᲐᲮᲢᲐᲗ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ—ᲐᲠ ᲛᲝᲔᲚᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲰᲑᲔᲓᲐᲕᲓᲔᲜ—ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲐᲗ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ. ᲛᲘᲡᲛᲐ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲗᲝᲙᲔᲑᲘ, ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲛ ᲨᲔᲰᲛᲐᲢᲐ ᲝᲠᲙᲔᲪᲘ ᲫᲐᲚᲐ; ᲛᲐᲜ ᲐᲘᲦᲝ ᲛᲘᲬᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲮᲛᲐᲚᲘ, ᲓᲐ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲢᲠᲘᲐᲚᲘᲗ ᲑᲝᲚᲚᲝᲡ ᲒᲐᲘᲙᲐᲤᲐ ᲒᲖᲐ. ᲝᲰ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲐᲑᲠᲐᲖᲐ ᲘᲡ ᲐᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲛᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲛ!

ᲬᲘᲜᲔᲗ ᲐᲡᲔ ᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲔᲜ; ᲣᲜᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲗ ᲘᲧᲝ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲐᲛᲨᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲗ... ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲒᲕᲘᲐᲜᲘᲐ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲘᲧᲕᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ-ᲛᲪᲔᲛᲔᲚᲜᲘᲪ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲡ, ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔ ᲣᲓᲒᲐᲛᲓᲐ ᲡᲣᲚᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚ ᲒᲣᲚᲔᲑᲡ; ᲛᲐᲡ ᲐᲓᲐᲓᲔᲑᲓᲔᲜ; ᲛᲐᲡᲖᲔ ᲗᲮᲖᲐᲕᲓᲔᲜ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲫᲐᲚᲐᲗ ᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲜᲔᲑᲓᲔᲜ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ; ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲡᲬᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲔᲑᲝᲚᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲐᲜᲗᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲮᲝᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲗ ᲓᲔᲑᲓᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲙᲘ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲠᲑᲝᲪ, ᲛᲐᲗᲕᲔ ᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ, ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲗ ᲒᲕᲔᲛᲣᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲜᲘ; ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲯᲐᲠᲡᲐᲪ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ...

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲣᲖᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲗᲐ ᲫᲐᲚᲐᲪ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲙᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲨᲘᲐᲪ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲔᲩᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲝᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲗ ᲛᲘᲮᲠᲬᲜᲘᲚᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ... ᲫᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ. ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ

ეკაფა გზა თავის გარშემო კვნესა-ოხვრაში, ტანჯვა-გვემაში, ცეცხლით აბრიალებულ კოცონს შორის. ათასობით მსხვერპლი ეწირებოდა მის სახელს, მისგნით განგმირული. ხმალი მისი უკვე დაიჟანგა, ფრთებით ის მიცურავდა სისხლის მორევში, სოფლები იწოდენ-იბუგოდენ, ქალაქები ინგრეოდა მის ფეხ ქვეშ; ის კი მიდიოდა და მიდიოდა წინ. —ფრენა უკვე აღარ შეეძლო, სისხლში და სიბინძურეში მოსვრილი ფრთები აღარ ემორჩილებოდენ. ზოგჯერ მატყუარა თაყვანის-მცემელნი მოდიოდენ მასთან, ეფიცებოდენ ემსახურათ მისთვის—ის მათ აძლევდა მეთაურობას. მისი წმინდა სახელით ისინი იბირავდენ თავისკენ ბრბოს, მისი წმინდა სახელით იპყრობდენ თავის გარშემო ქვეყნებს... შემდეგ რაკი მიზანს მიაღწევდენ—იძრობდენ პირიდან ნიღაბს და საქვეყნოთ უცხადებდენ მას აშკარა მტრობას.

მოქანცულნი და დატანჯულნი მხედარნი ემორჩილებოდენ თავის მძიმე უღელს და სულ მოკლეთ გაურბოდენ ციურ არსებას. გალანძღული და მოტყუებული ციური არსება ეცემოდა უძლეველ ტვირთ ქვეშ; მას ჰბოჭავდენ ჯაჭვებით. უძრავათ ეგდო ის ასე შებოჭვილი, ჰგონებდენ მოკვდაო და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ უეცრივ ის შეინძრეოდა, ლეწდა ჯაჭვებს და მეფასავით მრისხანე და ბრწყინვალე ისევ ვარდებოდა ბრძოლის ცეცხლში... ასე მიდიოდა ხანი.

საუკუნენი გარბოდენ, საუკუნენი მიჰქროდენ უგზო-უკვლოთ არარაობის ბნელ უფსკრულში—და, ბოლოს, დაინახა მან, რომ, მიუხედავათ ამდენ ურიცხვ მსხვერპლთა, მიუხედავათ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გამხეცებულ ბრძოლისა, ყოველივე ამაო იყო, სულ რაღაც რამდენიმე ნაგლეჯი მიწა ძლივს დაეფლო, და მტრები მისნი წინანდებურათვე მხიარულობდენ და ხალხს უკრძალავდენ მისი სახელის ხსენებასაც კი.

—

ამ ხანში მეორე და ჰაერისებური სიმსუბუქით მიმოვლიდა მთელ დედამიწას. ის შედიოდა ყველგან; არ ერიდებოდა ბრწყინვალე სასახლიდან დაწყებული უკანასკნელ სოფლელ ღატაკის ქოხსაც კი. ყველგან მორიდებითა და ალერსით უკაკუნებდა ის გულის კარებს, იწვევდა მოწყალებისა და სამართლიანობისათვის. ეგონა ადვილი იყო ალერსითა და გულკეთილობით ხალხთა დამორჩილება, —და უზრუნველი ბედნიერებით გასცქეროდა მომავალს... სანამ არ აეხილა მას შინაგანი მხედველობა. აქ კი შენიშნა, რომ მისი სახელით აღჭურვილი საზიზღარი გარყვნილება გამომძვრალიყო თავის სოროდან, ჰბილწავდა ხალხის გულთ და ჩირქით მოსავდა სხეულთ; რომ ჩარჩობა ცარცვავდა მშიერთ და უმალავდა დამშეულთ მათი ოფლით მონაგარ პურს; რომ ბრწყინვალე თეთრ ტანსაცმელში მორთული პირმოთნეობა და გარყვნილება ირქმევდენ მის სახელს და აბრმავებდენ კაცობრიობას, რომელიც ბავშური გულ-უბრყვილობით უწვდიდა მათ ხელებს და ვერ ამჩნევდა მოტყუება-სიყალბეს.

ციური არსება დატრიალდა; ის გარბოდა ერთთან, მეორესთან, იწვევდა ხალხს, აგონებდა მათ თავისთავს, ქვითინებდა, დაჩოქილი ევედრებოდა, ემუდარებოდა შებრალება-თანაგრძნობაზე და არ რცხვენოდა იმ საბრალოთა გულისათვის დამსგავსებოდა მათხოვარს; ის უფრო-და-უფრო ძლიერათ ჩასძახოდა ხალხთა გულებს, მაგრამ სულ უფრო-და-უფრო იშვიათათ აძლევდენ პასუხს იქიდან. ის მოუძლურდა, ისე მცირე იყო მის თანაგრძნობთა რიცხვი, ისე ნაკლები იყო მის კვალზე მიმავალი; ის ხომ თავ-დავიწყებას, თავის უარ-ყოფას, ყველაფრის მიტევებას ჰქადაგებდა—ხალხს კი ეს არ ესმოდა, არ სურდა გაეგო...

სიბნელის თაყვანის მცემელნი ბრაზზე მოჰყავდა მის მოელვარე სახეს, მის ნიჭს, მიუხედავათ ყოველგვარი ტანჯვისა, სასოწარკვეთილებისა. მათი საკუთარი სიბნელე უფრო-და-უფრო შავათ ჩნდებოდა მის მოელვარე სინათლესთან და აი, ბოლოს, ჩუმათ ჩაუგდეს ის ხელში ჯალათებს, მიალურსმინეს ხეზე და მისცეს მტანჯველთ საწამებლათ.

ხარხარითა და დაცინვით მიატოკეს ის მომაკვდავი...

მათ რა იციან, თუ ის უკვდავი იყო.

ის გაცოცხლდა და შეუნდო თავის ჯალათებს.

გაისმა ისევ მისი ნაზი, მომხიბვლელი მოწოდების ხმა ხალხისადმი.

პირველათ ხალხი თითქმის შეშინდა. ნახეს რა მასი უკვდავობა, მათ თითქო ირწმუნეს მისი ყოვლად შემძლებლობა—და მრავალს უწყო გულმა ძგერა და ღელვა.

სადაც ის ჩნდებოდა, იქ იყო თავშესაფარი მშიერთა და მწყურვალთა, იქ ჰპოვებდენ ისინი ბინასა და საჭმელს; შვენიერი, ახალ-გაზდა ქალები გაურბოდენ კეთილ ცხოვრებას და ვარდებოდენ იქ სილატაკეში, რომ დახმარება აღმოეჩინათ ხვედრისაგან შეურაცყოფილთა და დაჩაგრულთათვის. იქ ცრემლებს უშრობდენ, აქ მშიერთათვის პურს აგროვებდენ; აქ უმანკო ქალი იფარავდა მონანებულს, ცოდვილს, იკრავდა კულში და დასტიროდა მას. იქ ხალხი მზათ იყო ერთი-მეორის

გულისათვის მსხვერპლათ შეეწირა ცრუმორწმუნეობა, სიმდიდრე, სიამოვნება, სიცოცხლეც კი; განადირებულ ადამიანის გულშიაც კი ენთებოდა ღვთიური ალი. მტრები ერთმანეთს უმეგობრდებოდენ. უმეორებდენ ერთი-მეორეს მის წმინდა სიტყვებს; მისი მოძღვრება ედებოდა მთელ ქვეყანას და ლამოდა მის დაპყრობას. დაჰკრა მტერთათვის სიფხიზლის ჟამმა! მათ ორკეცი ენერგიით მოჰკიდეს საქმეს ხელი. და აი ამ წყნარმა, ნაზმა არსებამ შიშით შენიშნა, რომ მასაც იგივე სასტიკი ომი მოელოდა, როგორც მის დას. ცოცხალ ადამიანებს უკიდებდენ ცეცხლს ჩირაღდნების ნაცვლათ, ვეფხსა და ლომებს უგდებდენ ბრჭყალებში დასაგლეჯათ ახალგაზდა ქალებს, საპატიო მოხუცთ, უშემწეო ბავშებს. ქვეყანა მოიცვა მოთქმა-ტირილმა, სისხლში აცურდა ყველაფერი... ის გაექცა ხალხს. დიდ ხანს იმალებოდა სადღაც მიწურში, ძლივს ბედავდა რომელიმე მეგობრისათვის ხმა გაეცა, გაემხნევებინა: ცოცხლები საიდუმლოთ წირავდენ მას მკვდრებს, მხოლოთ მკვდართ არ მოელოდათ განსაცდელი მისი სიახლოვით.

როცა მან, ბოლოს, ბევრი საუკუნის შემდეგ ამოიხედა ქვეყანაზე, საოცარი სანახავები ნახა... მოღალატენი მისი მეგობრების სახელით ავრცელებდენ მთელ ქვეყანაზე თავის მოძღვრებას, ასაღებდენ რა მას „მის მოძღვრებათ“. ესენი თვალთმაქცობდენ და ტყუოდენ, ეძლეოდენ მით განცხრომას და ბანაობდენ ფუფუნებაში, ხოლო ისინი, ვისაც ეგონათ, რომ ამ გზით ემსახურებოდენ „მას“, აძლევდენ მას თავიანთ ძალ-ღონეს, შრომას და უგზავნიდენ ლოცვა-კურთხევას...

აღეგზნო ციურ არსებას ლმობიერი გული. ნუ ატყუებთ მათ!—შეჰყვირა მან თავის მოღალატეთ.—აი, მე აქა ვარ! მოვსულვარ მათთვის და დავრჩები მათთან!

ზოგი აღტაცებით მიეგება მას, იცვნეს რა ის ხმაზე; სხვები კი ისე შეჩვეოდენ თავის დაჩაგვრას, რომ ჰყვიროდენ:

—`ის ტყუის! ის მის სახელს ტეუილათ ირქმევს! უფრთხილდით მას!..

არსად არ ჰქონდა მას ადგილი. ყოველი მხრიდან ლევნიდენ, დაცინოდენ და ყველაზე უფრო ის ტანჯავდა, რომ ყველგან ყველაფერი მისი, სახელით იყო მოცული, მისი სახელით კეთდებოდა, მასზე ლაპარაკობდენ, მის სამართალზე გაიძახოდენ... დიაღ, მისით... მაგრამ სად არის ის? ვინ არის ის? ნამდვილათ არავინ იცოდა. ხოლო მას ჭეშმარიტს არ ცნობდენ; თვალ-ახვეულთ რწამდათ მოჩვენება, თვალების ამხვევნი განგებ იკატუნებდენ თავს, რომ ვითომ რწამთ ის, — ხოლო ზურგს უკან კი დაცინოდენ მას და ფეხ-ქვეშ თელავდენ მის წმინდა კანონებს.

—

მესამე და კი ამ დროს განმავლობაში ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ. ის ხრიდა ძირს თავის ჩირაღდანს და ანათებდა მით თვით უბნელეს კუთხეებს. ყველგან, სადაც კი ხვდებოდა მისი შუქი, ხალხი იღვიძებდა არა ანატრელ ღრმა ძილისაგან; ის ჰგვიდა მტვერს, სწმენდდა საუკუნოებით დახავსებულ შენობებს და უშვებდა დახშულ სახლებში ქორფა, გამაგრილებელ ჰაერს, აყროლებულ ჭაობებში კი ჩქარსა და მჩქეფარ მდინარეს.

ის თანდათან აღვიძებდა ხალხს უსარგებლო, ღრმა ძილისაგან და აძლევდა მას სიმხნეს, სურვილს და ცოდნას შრომისას; ის უმსუბუქებდა მათ ცხოვრებას, უზრგავდა ძალ-ღონესა და სიმთელეს.

მისი შრომა იყო ძნელი, თავსამტვრეკი, — ხშირათ პაწია სივრცეზე უნდებოდა მას დიდი-ხნის ბეჯითი შრომა.

ზოგჯერ ის შეეხებოდა შუბლით რომელსამე რჩეულს, გენიოს სახეს;—და მოულოდნელი, დიდებული რამ მოგონება ძრავდა მთელ ქვეყანას, მილიონებით მშრომელთ უადვილებდა შრომას; ეს აბობოქრებდა ხალხს, აღვივებდა მათში ცნობისმოყვარეობას, შრომის წყურვილს და წინ-წინ სვლას. სადაც კი ის გაივლიდა, ყველგან შენდებოდენ პაწია, შეუმჩნეველი სკოლები; ჩაგლეჯილ ბავშთა ბრბონი დადიოდენ იქ და, ბრუნდებოდენ რა სახლში, შემოჰქონდათ თავისი მცნებანი. ის ეხმარებოდა მათ ისეთ წიგნების; ისეთ დიდებულ აზრების კითხვაში, რომელნიც მოუთხრობდენ მათ მის ორს დებზე, უბეჭდავდა გონებაში მათ სიყვარულსა და მათთვის ბრძოლას.

ცხელ ქვეყნების შორს უდაბნოებში, ჩრდილოეთის გაყინულ დაბლობებში გზავნიდა ის თავის ერთგულ მქადაგებლებს მეორე დის საშველათ; ამით ის უადვილებდა მას შრომას, მარცხი კლებულობდა და გამარჯვებანი ხშირდებოდენ.

ის უმზადებდა პირველ დას გამბედავსა და მცოდნე მებრძოლთ, და ამ ნაირათ ორსავე დისათვის თავდადებით ზრუნავდა.

მისი მაგარი საჭე აბრუნებდა ძველ მიწას და უმზადებდა მას ნაყოფიერ სამკაულს; შეუმჩნეველათ და მკვიდრათ იდგამდა ფესვებს მიწაში მისგნით მობნეული თესლი და ხარბათ უშვებდენ ტანს ქორფა ყლორტები.

ხან აქ ჰფენდა შუქს, ხან იქ მისი ჩირაღდანი. მის შუქზე კეთდებოდა დიდებული საქმეები; ხალხის გულში ენთებოდა შეგნება თავის უფლებათა და მოვალეობათა. ის ასწავლიდა, რომ ისინი თუმცა პაწია, მაგრამ საჭირო მარჭვლებია ერთი დიდი მაშინისა, და მათი ვალია მიიჩნიონ თავი არა სამყაროს მამოძრავებლათ, არამედ ფხიზლათ იარონ აღნიშნული გზით და მხარი მისცენ ერთმანეთს, რომ არ დაიშალოს ეს დიდებული მაშინა.

ამ ნაირათ უფრო-და-უფრო ჰპოულობდა ის თავის მომხრეებს, აკეთილ-სათნოებდა მათ აზრებს და ამაგრებდა მათ ტვინს. ის ასწავლიდა შრომას და უამბობდა უფლებათა-თანასწორობაზე.

ბევრი ქვეყანა დარჩენია მას ჯერ კიდევ მოუვლელი; კიდევ ბევრია ბნელი და ველური კუთხეები, სადაც არ შეუჭვრეტია მის მხსნელ ჩირაღდანს, სადაც კიდევ წყვდიადში და სიტლანქეში ცხოვრობს ხალხი, „როგორც ქვესკნელის საპატიმროში უსანთლოთ“. მაგრამ თვის ძლევა-მოსილ მსვლელობაში, დაუღალავის მოთმინებით და მხნეობით, ის, ბოლოს, ყველაფერს გააშუქებს, ყველაფერს გაწმენდს, ყველას იხსნის სიბნელისა და სიბოროტისაგან.

პირველი ორი დის სახელები თქვენ უკვე იცით.

ხოლო მესამის სახელი ცეცხლის ასოებითაა ამოჭრილი მომავალ საუკუნის სადღესასწაულო კარებზე: ცოდნა.

დ—ი.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

ბატ. „კვალის 36 №-ში წავიკითხე წერილი ძიმითიდან, რომელიც მეხება მე და გთხოვთ ნება მიბოძოთ გავუზიარო მკითხველს საქმის ვითარება:

5—6 წელი იქნება მას შემდეგ, რაც აქაურ (სახეში მაქვს ძიმითი) ინტელიგენტებთან შეთანხმებით მე ავიღე, ვისგანაც ჯერ იყო, ნებართვა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა. სამწუხაროთ, უნდა აღვიარო, რომ თითქმის სამი წლის განმავლობაში ვერ მოვახერხე საქმის განხორციელება, რადგან იმ დროში ჩვენში არსებობდა ეგრეთ წოდებული „შენ-ჩემობა—პარტიობა“. ეს საზოგადოება ორ უმთავრეს სოფლისაგან შედგება და თვითოეულს უნდოდა თავის სოფელში დაარსებულიყო სამკითხველო. ბოლოს, რომ ნებართვას ვადა არ გასვლოდა, მე მივმართე პართენ გოთუას, რომელიც იმ დროს კანიკულებზე სახლში იმყოფებოდა და რომელმაც მირჩია მაშინვე შევდგომოდი საქმის განხორციელებას,—და თავისი მხრით აღმითქვა შემწეობა.

პირველი აგვისტოდან 1898 წლისა დაიწყო არსებობა სამკითხველომ. ბ. გოთუამ აღთქმისამებრ გამოგზავნა რამდენიმე ცალი კარგი წიგნი (ასზე მეტი იყო) და დაუგზავნა სამკითხველოს „ცნობის ფურცელი“, მეც ჩემი მხრით შევაგროვე რამდენიმე ცალი წიგნი და მოვათავსე მაშინდელი მასწავლებლის ბ. ფარნაოზ ჭეიშვილის ნებართვით ორ კლასიანი სკოლის შენობის ერთ-ოთახში. კერძო შემოწირულებაც მივიღე, რაზედაც ყველას „კვალის“ შემწეობით მადლობა მოვახსენე. მეორე წლისათვის მე მივმართე როგორც ბ. გოთუას, ისე სხვა პირებსაც, ზოგისაგან მივიღე წიგნები, ზოგმაც დაუგზავნეს სამკითხველოს გაზეთები და ასე ამ ნაირათ განვაგებდი სამკითხველოს, რაც ჩანდა იქიდან, რომ გასულ წელში სამკითხველო ღებულობდა: „კვალს“, „ივერიას“, „კრებულს“, „ჯეჯილს“, „მწყემსსა“ და „ცნობის ფურცელს“. სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ამ წლის პირველი ივნისიდან მე მომიხდა დატოვება ჩემი სოფლისა და წამოსვლა ჭიათურაში, სამკითხველო ჩავაბარე სკოლის ზედამხედველს ბ. ხარიტონ მანთაძეს: მას შემდეგ მე აღარ შემხვედრია დრო, რომ გამეგო წიგნთსაცავის ბედ-იღბალი. მხოლოთ გამაკვირვა, როცა ერთმა ჩემმა ამხანაგმა ამ ცოტა ხანში მითხრა, რომ შარშანდელი გაზეთის ფურცლები მანდილოსნებს დაურიგეს ყაჭის ქვეშ დასაფენათო. წერილის ავტორიც ამტკიცებს, რომ წიგნების ნახევები აქა-იქ ყრიაო. ამას გარდა მამასახლისი შეგნებული კაცია, წერა-კითხვის მცოდნე და კარგი განვითარებული და მიკვირს რატომ მეტი ყურადღებას არ მიუქცევია სამკითხველოსათვის, თუ ის მართლა ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში არის. წერილის ავტორს ისე გამოჰყავს, ვითომ მე ისევ ძიმითში ვიყო, ვხედავდე ყველაფერს და ყურსაც არ ვიბერტყდე, ეს ტყუილია. ვიტყვი, რომ ძიმითის სოფლელები მთხოვდენ მე სამკითხველო სოფ. ძიმითში დამეარსებინა, მაგრამ დავაარსე ბაილეთში იმ მოსაზრებით, რომ იქ ორ კლასიანი სასწავლებელი იყო და არის, სოფლის სასამართლო, ახლო ეკკლესია და ხალხიც უმეტეს ნაწილათ აქ იყრის თავს. თუ კი ბაილეთლები მეტ მზრუნველობას არ გამოიჩენენ და მეტათ არ თანაუგრძნობენ ამ დაწესებულებას, მე სამკითხველოს ძიმითის სოფელში გადავიტან, სადაც ერთ კლასიანი სკოლაა და სადაც იმედია უფრო წარმატებას მიეცემა. რაც შეეხება ანგარიშის ჩვენებას, საზოგადოებამ კეთილ ინებოს, დანიშნოს კრება და მაცნობოს მე, ან თვითონ ვიახლები და ან წარვუდგენ დაწვრილებით წერილობითი ანგარიშს. კრება აუცილებელი საჭიროა, რომ სამკითხველოს მოუძებნონ არსებობის წყარო, დაამყარონ მკვიდრ ნიადაგზე და მასთან გამგეც აღმოუჩინონ. დასასრულ, დაუვიწყებისათვის დიდ ბოდიშს ვიხდი და უგულითადეს მადლობას ვუცხადებ შემოწირულებისათვის: ბ.ბ. ივანე დავითისძე კილაძეს, გიორგი ესტატეს-ძე ლომაძეს, ისიხო გ. სამსონიას, ბართლომე ალ. კილაძეს და ყაისარ ლ. ხელა-

ძეს. აგრეთვე არ შემიძლია ჩემი სულითა და გულით მადლობა არ გარდავსცე წერილის ავტორს, რომელსაც ეტუობა მართლა შეტკივა გული საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

ბიათურა. ვლადიმერ ღომაძე.

II.

უმორჩილესათ გთხოვთ, რომ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალის“ მახლობელ №-ში და მით მკითხველ საზოგადოების წინ გამამართლოთ იმ უღრეოთ დაბეჭდილ წერილის გამო, რომელიც „კვალის“ მე-37 №-ში არის მოთავსებული შემდეგი სათაურით: „ქართულ მგალობელთა ახალი გუნდი.“ ეს წერილი მე, გადმოვეცი თქვენ პატივცემულ რედაქციას, ამ რამდენიმე თვის წინეთ, რომელიც იმ დროსთვის საუურადღებოც იყო, რადგანაც ის გუნდი მართლა ახალი იყო და შენიშვნის ღირსიც; დღეს კი არამც თუ ახალია, იმ გუნდის ხსენებაც ადარ [illegible] რადგანაც კარგა ხანია რაც ჩაიშალა და სადათას ძალს მიეცა. უღრო-უღრეოდ დაბეჭდვისა გამო, ხსენებული წერილი კი, თავისის ავტორით, ყველასთვის საოცარი შეიქმნა და საგანგაშო; ამისთვის უმორჩილესათ გთხოვთ, რომ პატივი გვცეთ და საზოგადოების წინაშე თქვენვე ბძანოთ, მიზეზი იმ წერილის დაბეჭდვის დაგვიანებისა და მით დამიხსნათ საყვედურისაგან.

თფილისის სამღვდელოებათაგანი სერგი.*)

„კვალის“ ფოსტა

ყარსის რკინის გზის ძართველებს და ა. ჯ—შვილს: ნიკოლოზ ბაოათაშვილის ძეგლის ფული ეგზავნება წერაკითხვის გამავრცელებელ საგოგადოების მართველობას და თქვენც იქ უნდა გაგზავნოთ.

ცაგერი პ. გელოვანს. თქვენი ეტიუდი „ექიმის ნაამბობი“ ვერ იბეჭდება.

გიორგი წერეთლის მოთხრობა

ოცი წლის წინეთ

გამოვიდა ცალკე წიგნაკათ. ფასი 5 კაპ.

*) წერილის დაბეჭდვა სრულიად შემთხვევით დაგვიანდა. რედ.

სკოლა და პანსიონი

ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს უმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ადრესი: ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა № 13, ზემელის ათოექის მახლობლათ.

(4—2)

გამოვიდა და იყიდება

ახალი წიგნი

„ქართული პრესა“

წერილები ნოე ჟორდანიასი

გაპ. ამხან. „შრომის“. ფასი 25 კაპ.

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

რედაქციაში იყიდება ძალიან დაკლებულ ფასათ ყველა წლებისა (1890—1899 წ.წ.)

ჩვენი ძველი გმირები

თხზულება გ. წერეთლისა.

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილლერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტროფანე ლაღიძესთან.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)	
ალბომი „ბუნება სურათებში“ ულ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)	
პატარა ლორდი	30 კ.
ჩვენი ძველი გმირები	30 კ.
თეთრი და ფანგი	15 კ.
სოლომონ მეფე	10 კ.
ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა	10 კ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა

Доз. ценз. Тифлисъ, 16 Сентября 1900 г. — სტამბა ექ. ივ. ხელაძისა. — Тип. Е. И. Хеладзе Л.-Мелик. ул., № 28.